საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონში, ბოჭორმის ქ. №1-ში, შპს „პუშკინი“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, ს/კ 01.17.01.136.003 სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესახებ“.

შპს „პუშკინი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2018 წლის ოქტომბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბოჭორმის ქ. №1-ში, შპს „პუშკინი“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, ს/კ 01.17.01.136.003 სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბოჭორმის ქ. №1-ში, შპს „პუშკინი“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, ს/კ 01.17.01.136.003 სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი/ს „მშენგეო“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2010 წლის ნოემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი დავით შანიძე. ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდა გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 12 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 2 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 2 ფურც.
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი სასტუმრო. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი. თითოეული 8.0 მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნიადაგის ფენა;
2. ფენა 2 – თიხნარი, მყარპლასტიკური კონსისტენციის;
3. ფენა 3 – კენჭნარი, თიხნარის 30 % შემცველობით;
4. ფენა 4 – ძირითადი ქანები, გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირებული იქნა მიწის ზედაპირიდან 5.6-5.9 მ. სიღრმეზე. წყლები ავლენენ სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიას სხვადასხვა ცემენტისგან დამზადებული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბოჭორმის ქ. №1-ში, შპს „პუშკინი“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, ს/კ 01.17.01.136.003 სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/